№ 271

ოთხშაბათი 31 დეკემბერი, 1897 წ.

**ბაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—189.

# ივერია

№ 271

ოთხშაბათი 31 დეკემბერი, 1897 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში ექვსი გვერდია.

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს 1 იანვარს,

ქართულ თეატრის დაფუძნების სახსოვრად

**საიუბილეო წარმოდგენაა**

ამ წარმოდგენის გამგებლობა იკისრა კნეინა მარიამ ზაქარიას ასულმა ერისთავისამ

**პ ი რ ვ ე ლ ა დ**

საგანგებოდ ამ წარმოდგენისათვის შეთხზული პიესა

## სამზადისი

სცენები ქართულ თეატრის დაფუძნების დროისა პეტრე უმიკაშვილის-მიერ

**II**

## გ ა ყ რ ა

სამი პირველი მოქმედება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, კარგარელი, გარელი, ბ-ნნი ვ. აბაშიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ცაგარელი, ადამიძე, საფაროვი, და სხვ.

**III**

## აპოთეოზი

ქართულის თეატრის დამფუძნებელის

**თავ. გ. ერისთავის პატივისცემით. მოხსენება**

**IV**

ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა ითამაშებს

## ლ ე კ უ რ ს

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ

---

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში

**მ. ბარკალაიას მიერ გამოცემული**

ა ხ ა ლ ი   წ ი გ ნ ი

## საამდროლო გამოცანები

(ზმაკიდურები ჩვენს მოღვაწეებზედ)

**თ. ნ. ტ. დადიანისა**

წიგნი შეიცავს 33 გვერდს და ჰღირს სამი შაური. ვინც ასს წიგნს ერთად იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, მანათზე აბაზი დაეთმობა. (—220 - 1)

### მთავრობის განკარგულებანი

გადაყვანილ იქმნა მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის მის სახელობის არტილერიის ბრიგადის კაპიტანი ქორქაშვილი არტილერიის მთავარ-სამმართველოში საგანგებო მინდობილობის ოზერ ოფიცრად.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით სენაკის მაზრის სამხედრო უფროსის გამგეობის საქმის მწარმოებელი ნადვორნი სოვეტნიკი დიდებულიძე.

### ნეკროლოგი

**† გრაფი დელიანოვი**

როგორც დეპეშით შეიტყობდნენ მკითხველები, 29 დეკემბერს, ცოტა ოდენის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა პეტერბურგში საერო განათლების მინისტრი გრაფი ივანე დავითის ძე დელიანოვი. განსვენებული დელიანოვი სომხის შთამომავლობისა იყო და დაიბადა 1818 წელს. სწავლა მან მოსკოვის უნივერსიტეტში დაასრულა და პირველად მის უდიდებულესობის საკუთარს კანცელარიაში მსახურებდა. 1854 წ. დელიანოვი მწვალებელთა შესახების საიდუმლო კომიტეტის საქმეთა გამგეთ იქმნა დანიშნული, ხოლო 1858 წელს პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად. 1866 წელს საერო განათლების მინისტრის ამხანაგის თანამდებობა ჩააბარეს, ხოლო 1882 წელს თვით მინისტრობაც. ამ რიგად დელიანოვი საერო განათლების მინისტრის თანამდებობას მთელი 15 წელიწადი ასრულებდა. ამის გა და დელიანოვი სხვა ბევრს სახელმწიფო საქმეშიაც ... და მონაწილეობას. 1888 წელს, როდესაც 50 წლის სახელმწიფო სამსახურის იუბილეი გადაიხადეს, დელიანოვს გრაფობა ებოძა.

## ახალი ამბავი

*** 29 დეკემბერს ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკში გასასყიდად დანიშნული იყო შვიდი მამული—ექვსი ქალაქისა და ერთი სოფლისა. ქალაქის მამულების პატრონებმა ხვედრი სავადო შესატანი წარუდგინეს და ამიტომ იგი ვაჭრობაში არ ჩავარდნილა, ხოლო მეშვიდე მამული—სოფლისა ბანკს დარჩა, რადგან მყიდველი არავინ გამოუჩნდა.

*** გუშინ-წინ, 29 დეკემბერს, ქალაქის საბჭოს კრებაზედ დასრულებულ იქმნა 1898 წლის ქალაქ ტფილისის შემოსავლის ხარჯთ-აღრიცხვის კითხვა. ამავე კრებაზედ საბჭომ ამოარჩია სავაჭრო დეპუტაციის და იმ კომისიის წევრები, რომელმაც ღამის თავ-შესაფარები უნდა განაგოს. ამ უკანასკნელს კომისიაში არჩეულ იქმნენ: ა. ი. ოდნოსუმოვი (28 თეთ. 4 შავი), ნ. ა. ხუდადოვი (29—3), ა. გ. ევანგულოვი (29—3), ა. ბ. ბაღდასაროვი (27—5), თავ. ნ. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (29—3) და ვ. ნ. პახომოვი (29—3).

*** ბ-ნმა ტფილისის გუბერნატორმა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. მაჩხაანში ავადმყოფთა თავშესაფარი [...]ნას დაარსებული. ამ საავადმყოსაწინახვას მაჩხაანის სოფლის ხარჯითვა ჰკისრულობს თავისის

*** ორ[...] ქვაშვეთის სამრე[...] 29 დეკემბერს, დარბაზში გამართულ[...]ასწავლებლის ხე და სალიტერატურ[...]ა შობის საღამოს დაესწრო: კავალ[...]ადამო. ნერალი თავ. ი. გ. ამილ[...]ე. კნ. მუხრან-ბატონისა, კნ. ერის ვისა, პოლკოვნიკი თავ. ა. ი. მუხრან-ბატონი, როტმისტრი არჯევანიძე და სხვანი. ლამაზადა და მოხდენილადა მღეროდნენ მოსწავლენი კავსაძის ლოტბარობით სხვა-და-სხვა სიმღერასა და მშვენივრად კითხულობდნენ ლექსებს რუსულადა და ქართულად. საღამო იმითი დასრულდა, რომ სასწავლებლის საპატიო მზრუნველმა კნ. მუხრან-ბატონისამ მოსწავლეებს საჩუქრები დაურიგა.

*** კვირას, 28 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, აკურთხეს ღამის პირველი თავშესაფარი. თავშესაფრის კურთხევას დაესწრო ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელი ა. ა. ივანენკო, ქალაქის გამგეობის წევრნი, ხმოსნები, საგუბერნიო ექიმი ქიქოძე, სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორი, საბჭოს მკურნალები და აუარებელი ხალხი. პარაკლისის გარდახდის შემდეგ ბ-ნმა ივანენკომ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც დამსწრე საზოგადოებას თავშესაფარის მნიშვნელობა განუმარტა. თავშესაფარს მშვენიერი მოზრდილი სახლი უჭირავს და ყველაფერი ლამაზადა აქვს მორთულ-მოწყობილი სასადილო ოთახი ცალკეა, სამზ-უ-

---

## ფელეტონი

### დედის დანაშაულის გასწორება.

(საშობაო ამბავი)

— დედა, მალე გაათავებ საკერავს? აი, დაღამდა კიდეც, მანამ წაიღებ, დაბრუნდები, შობაც კარზედ მოგვადგება.

— რა ვუყო, შვილო! ბარემ მეც ვჩქარობ, მაგრამ იმდენი წვრილმანი, იმდენი მოსართავი და ზიზილ-პიპილები აქვს დასაკერებელი, რომ გული გამიწყალდა და დასასრული-კი აღარ არის.

— ნეტა ეგ ზიზილ-პიპილები რაღად უნდა უმაგისოდაც მშვენიერს კაბას! რა რიგად მოუხდება პატარა თამარს, მზესავით გაანათებს, ნეტა იმას! ამას წინად რომ ცისფერი კაბა შეუკერე, ჯერ ისიც არ ჩაუცვამს, იმასაც სააახალწლოდ თურმე ინახავს. დაღონებულის და შურის კილოთი ჩაილაპარაკა პატარა ათის წლის ნიცამ, რომელსაც საშობაო მოლოდინი: ბანბაზის კაბის შეკერვა სხვა-და-სხვა მიზეზით ვერ შეუსრულდა.

— მა.რა, შვილო, დიდკაცის ქალია, ერთის კაბის ამარა ხომ ვერ ივლის. ან ჩვენთვის, ღარიბ მკერვალისათვის, რა სასარგებლო იქნებოდა, რომ იმათ მხოლოდ თითო კაბა შეეკერათ. აი, დღეს ამ კაბის იმედითა ვარ, სამი მანათი უნდა მივიღო ხელიფასი და ამითი ექვსის კვირის ნამარხულარი პირი გავიხსნილოთ.

— ჩემი ჩუსტები? მაშ მე ჩუსტებს აღარ მიყიდი? საყვედურით წაიტუტუნა პატარა სანდრომ, რომელიც სტოლის მეორე გვერდს მოსჯდომოდა და ძალიან გულდასმით რაღაც პატარა წიგნს კითხულობდა.

— მაშ, მაშ, გენაცვალე! ჩუსტებიც არ უნდა გიყიდო, ჩემო პატარა მეცნიერო! ნეტა მქონდეს, რომ ჩოხა-ახალუხიც გამოგიწყო იმ სიხარულისთვის, რაც შენმა მასწავლებელმა მე მომანიჭა შენის ქებით: „ჩინებულად სწავლობს, გონიერი, ზრდილი და გულ-მართალი ბიჭიაო!“

— როდის ჰნახე მასწავლებელი? მე რატო აღარა მითხრა-რა, მორცხვად სთქვა სანდრომ და თან კმაყოფილის ღიმილით ისევ წიგნში დაიწყო ცქერა.

სალომეს პატარა, ორ ადლ-ნახევრიანს ოთახში, თუმცა კარგა მოზრდილი რკინის ღუმელი იდგა, მაგრამ, პატარ-პატარა ნაფოტებით შეკეთებული, სითბოს-კი ძალიან ნაკლებად იძლეოდა. პატარა ლამპარიც ძალიან მკრთლად ანათებდა ამ ჯურღმულს, ოთახად წოდებულს, და კარგადაც სჩადიოდა! ძონძსა და კონკს, ჭუჭყსა და სილატაკეს რაღა განათება უნდა; მაშინ ხომ ესენი გამოჩნდებოდნენ, ყვირილს დაიწყებდნენ, ყველას თვალებში წაეჩხირებოდნენ და ეს ვისთვის იყო სასიამოვნო; კმაყოფილისა და მდიდარის კაცის გული რად უნდა შეეშფოთებინა, მისი სიამოვნებისა და მშვენიერების დანახვას შეჩვეული თვალი რად უნდა შეეზარნა; უჩვევი, არა სასიამოვნო აზრები რად უნდა გა[...]ლვიძებინა მას გალაღებულს გ[...]ში, იმისს სიამაყით მიძინებულს [...]ინიდისში!..

შვიდი საათი შესრულდა, პატარა სანდრომ სტოლზედ თავი დასდო და ტკბილად ჩა[...]ინა, ნიცამ სხვა-და-სხვა ფერ ნაკუწების შეხამებით დაწყობა დაიწყო, რომ ნაშობაევს ერთი ერთმანეთზედ მიეკერებინა და ლამაზი ბოხჩა შეეკერნა. ჩამი-ჩუმი არსაიდგან მოისმოდა. მხოლოდ სალომეს მწუხარი ოხვრა ისმოდა, იმისი თითები შეუყენებლივ, გაქანებით ჰმუშაობდნენ და პატარა კაბის კერვას მაინც ბოლო არა ჰქონდა. ოც-და-ათი ადლი ყაითანი უნდა შემოეკერებინა კაბის გარშემო სულ მარყუჟებით სახელოებზედ, საყელოზედ, გულზედ, და ამ მარყუჟებში თით[...]-თითო ბჭყვრიალა ღილი უნდა ჩაეკერებინა.

— ოხ, ღმერთო, ნეტა ვინ მოიგონა ეს წყეული [...]ოდები ჩვენ სატანჯავად და [...]ავაგლახოდ! ამოიოხრა საწყალმა სალომემ და დაღალულს თვალ[...]ზედ ხელები გადისვა: სამი დღე ამ ორ ტკაველ კაბას მოვუნდი [...]ა ნეტა ამის პატრონს სამის საათით მაინც გაახარებს? ასიამოვნებს? იქნება ზედაც არ დახედოს? იქნება ვერც-კი მიხვდეს, ნემსის წვერი რამდენჯერ ეჩხვლიტა ამ ჩემს დამონავებულს თითებს... მაგრამ ღმერთმა მოახმაროს, ჩემს შვილებს ხომ ლუკმას მისცემს და სხვა რაღა მინდა...

ცხრის ნახევარზედ სალომემ უკანასკნელი ღილი დააკერა, კულიანად ამოიხვნეშა, წელში გასწორდა, დიდის ხნით წახრილი ყელი და კისერი მიიგრიხ-მოიგრიხა დაღლილი თითები დაიფშვნიტა, დაიტკაცუნა, მერე სუფთა ბღარაში შეახვია პაწაწინა, ათას გვარ მორთულობით შეხამებული კაბა და გასასვლელად მოემზადა.

— შვილო, ნიცა, ღუმელზედ პატარა ქვაბით წყალი შედგი, მანამ მოვალ, გათბება, გზაზედ ერთ გირვანქა საპონს ვიყიდი და ამოგირეცხავთ საცვლებს, კაბას; ხვალინდელ დღეს ახლებით თუ არა, სუფთებით მაინც მიგაგებებთ.

— დედი, მალე მოხვალ? ნამძინარევის ხმით მიაყვირა სანდრომ და წათვლემაში სიცივით გათოშილი ოდნავ გამთბარ ღუმელს მიეყუდა.

— ერთს წამს მივირბენ, აქვე არის როსტომიანთ სახლი, კაბას ჩავაცმევ, ფულს მივიღებ და აქ გაჩნდები.

II

ნიცა და სანდრო ღუმელს შემოუსხდნენ დედის მოლოდინში და ჩვეულებრივ ბავშურის იმედებით აღვსილნი შეუდგნენ იმის წარმოდგე-

ული ცალკე და აქვეა განსაკუთრებული ოთახი სარეცხისათვის. განზრახვა აქვთ მეორე თავშესაფარიც დაარსონ ქალაქის მე-10 ნაწილში. თავშესაფარის კურთხევას, სხვათა შორის, 8 სპარსელი დაესწრო.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის მმართველობამ უარი განაცხადა თურმე სოფ. ბაკურციხის სასოფლო-სამკურნალო თავშესაფარის გადატანაზედ სოფ. ველისციხეში.

⁂ სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ ნება მიეცათ კერძო თეატრებს დიდ მარხვაში პირველისა და უკანასკნელის კვირის გარდა, წარმოდგენები გამართონ ხოლმეო.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ." სიტყვით, ამ დღეებში ჩამოვა ტფილისს პლიუშჩევსკის ქვრივი, რომელსაც აზრადა აქვს თურმე სთხოვოს მთავრობას ნება მისცენ თავისის ქმრის გვამი ტფილისიდგან ოდესაში გადაიტანოს.

⁂ **ნაძალადევი.** კვირას, 20 დეკემბერს, ნორიოს ქუჩაზედ ერთს სოფლელს ურმით ნახშირი დაჰქონდა და ვაჭრობდა. სხვათა შორის ერთმა ვაჭარმა რამდენიმე ტომარა იყიდა და თითო ტომარაში ცხრა შაური უნდა მიეცა. მეურმემ გადმოალაგა ტომრები, მიართვა ვაჭარს და ხვედრი ფული მოსთხოვა. ვაჭარმა აიღო და იმაზედ ნაკლები მისცა, რაც ერგებოდა. მეურმემ არ აიღო ფული და ისევ უკან მიჰქონდა ტობრებით ნახშირი. ამ დროს სწვდა საყელოში გათამამებული ვაჭარი და ცემა დაუწყო გირვანქიანებით. საბრალოს ლოყა გაუსკდა, ცხვირიდგანაც სისხლმა დაუწყო დენა, მაგრამ მაინც ვაჭარი არა სცხრებოდა, როგორც იყო პოლიციის მოხელეც მოვიდა, დაამშვიდა, მაგრამ ვაჭარმა მაინც არ მისცა საბრალო გლეხს ის, რაც ერგებოდა და ამ ნაირად თავისი სიტყვა გაიყვანა გათამამებულმა ვაჭარმა.

⁂ **დუშეთი.** 28 დეკემბერს აქ სცენის მოყვარეთაგან გამართულ იქმნა წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით. წარმოადგინეს „ბაიყუში" და „ბნელს ოთახში". ხალხი ბლომად დაესწრო. წარმოდგენამ, მეტადრე პირველმა, ჩინებულად ჩაიარა, რადგან მოთამაშეებმა როლები კარგად იცოდნენ და შეგნებითაც თამაშობდნენ. საზოგადოება დიდად ასიამოვნა გრეკოვის ქალის თამაშობამ, რომელმაც თალიკოს როლი საუცხოვოდ აასრულა. კარგი იყო ვლადიმიროვის ქალიც ანჩხლის ცოლისა და ოსტატის დედინაცვლის ელისაბედის როლში. ბ-ნი ი. ერისთავმა და ვ. თარხნიშვილმაც ნათლად დაგვიხატეს პირველმა ოდესლაც ფრთაფარფატა, მაგრამ ბოლოს-კი მოუძლურებული აფიცერი რევაზ თავქარიანი, და მეორემ მშიშარა და გაიძვერა ვაჭარი ტერფუქსავატიანცი. მადლობის ღირსია საზოგადოების მხრივ ამ საქმის გამგე, დიდად პატივცემული კნ. დ. ა. ჭავჭავაძისა და სხვა ყველანი, ვინც ამ კეთილს საქმეს რითიმე დაეხმარა.

⁂ 28 დეკემბერს, ღამე, ტფილისის რკინის გზის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოდგან გაიქცა სულით ავადმყოფი ტელეგრაფის მოხელე შათირიშვილი. როგორც აღმოჩნდა, შათირიშვილი საცვლების ამარა ფანჯრიდგან გამომძვრალა და სიცივის მიუხედავად ავჭალის სადგურამდე მისულა. ავჭალაში ავადმყოფი დაიჭირეს.

⁂ 27 დეკემბერს, სალამოს 10 საათზედ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, მათე თოდუას ტრახტირში, მოხდა ჩხუბი, რომლის დროს ქუთაისის გუბერნიის გლეხმა ვარლამ ღოღობერიძემ ხანჯლით დასჭრა მარცხენა გვერდში კონსტანტინე ანდრიაძე. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს, ხოლო დამნაშავეს შესაპყრობად ღონისძიება მიიღეს.

## სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

მოახლოვდა ახალი წელიწადი. აივსო ბაზრები ათას გვარის სურსათ-სანოვაგით, ხილ-ტკბილეულობით. მომაგონდა, ეს ის დროა, როდესაც გონების საზრდოს დაკვეთის ზრუნვას უნდა შეუდგეს ყოველი ადამიანი-მეთქი, და გავწიე ჟურნალ-გაზეთთა საქულბაქოსაკენ, მაგრამ, ღმერთო, რა ღრიანცელი იდგა, რა ხმაურობა, სწორედ ყურთა სმენა აღარ იყო!

— აქეთ მობრძანდით, ქალბატონოო, გაიძახოდა ერთი ცხრა-თითა კაცი: დევ გმირი ჩვენა გვყავს, იშვიათი ლიტერატორი, ყარაბაღელი ქართველი! შესანიშნავი კაცია, იუდა ისკარიოტელის მოძღვრებას აღიარებს! შედგენილი აქვს ახალი ლექსიკონი გინებისა და ლანძღვისა, რომელშიაც 2,500 სიტყვაა და რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება, თუ მახვილმა მართლ-მსაჯულებისამ ჩვენა და იგი არ განგვაშორა, თუმცა მაშინაც სულითა და გულით ერთნი ვიქნებით...

— ჩემკენ, ჩემკენ, იაფად და კარგი, ამოსდგომოდა გვერდში ცხრა-თითას წინანდელი მისი მტერი და აწ მოყვარე ლიტერატორი-მანასე, პატარა კაცი, რომელიც ყოველ სხვათაგან იმითი განირჩეოდა, რომ გული, საგულეში-კი არა, ყანყრატოში ჰქონდა ამოჩრილი: აქეთ მობრძანდით, კულტურა აქ არის უხვად და იაფად; ჩვენ დავიჭირეთ კაკანათში ბღარტები, ჯოხ-ცხენიანები, სხვისდა საუბედუროდ მოვლენილნი!.. მე გახლავართ: ხან ასეო, ხან ისეო, „ესტი პუპუზ, ენდი პუპუზ", ხან თქვენი ვარ, ხან-კი სხვისი, უფრო, ვფიცავ, არავისი, ცხრაჯერ კანსა გამოვიცვლი, მეხსომება მაინც თვისი...

— „ნოპათები, პრემიები", „პრემიები, ნოპათები!" —გაჰკიოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ერთი ვაჟბატონი და სცდილობდა, თავისი პაწია, წვერ-მოტეხილი კალამი როგორმე ყურს უკან დაეყენებინა, მაგრამ ყური არ იმაგრებდა და რამდენსაც ხელს მიანებებდა კალამს ყურთან, კალამი სულ ძირს უვარდებოდა.

— ახალი დასი, ძველი გმირები, „დროის შესაფერი მიმართულება"!.. ენის ჩიფჩიფით გაჰკიოდა ერთი გამხდარი, ხმა მიკნავებული და სათვალებიანი ახმახი, რომელსაც მკერდზედ, ზურგზედ და გვერდებზედ უშველებელი სურათები თუ ნახატები ეკიდა და თითონ ამ ნახატებს შუა ამოეყო თავი: სხვას მასალა შემოაკლდა, ჩვენ საქონელი პირდაპირ „გრანიციდგან" მოგვდის, ევროპიდგან, „გრანიციდგან", ახააალი დააააასი!.. გაისმოდა უფრო ძლიერ იმისი ძალ-დატანებული, ხრინწიანი ხმა.

ამ ყვირილ-ყიჟინისაგან გამობრუებული ვიყავი და არ ვიცოდი, საით წავსულიყავ. „ნობათებიიი!", „ახალი დასიიი!" ჩამესმოდა ყოველ წუთს აქეთ-იქიდგან. უცბად ვიღაცა დამეტაკა და ის იყო, შეკურთხებას ვუპირებდი, რომ ვიცანი, ერთი ჩემ მეგობართაგანი იყო.

— შენი ჭირიმე, გამაცილე ამ ჩარჩებს როგორმე, თავი გამომიბრუვდა-მეთქი, ვთხოვე.

— არა, დაიცა, დაიცა!.. საყურადღებო სანახავია ეს საქულბაქო... ყველაზედ საინტერესო აი, ის სურათებ-აკიდებული კაცია!.. წელან ველაპარაკე და კიდევ მინდა ჩავიგდო ხელში სალაპარაკოდ. ცოტა ვერა გავიგე-რა იმისი, თუმცა „მტკნარი" მეცნიერი-კი უნდა იყოს.

— მაინც რა გითხრა?

— რა ვიცი, რაებს არ მომიყვა... ჯერ სთქვა, რომ ხომ ჰნახეთ ნოემბრის ჟურნალი „მომისმინე", შეთხელებულა, მასალა შემოჰკლებიაო.

— რას ამბობ, კაცო, მე იმ ჟურნალის მკითხველი ვარ და ეგ ხომ ჩარჩული ტყუილია. მეთერთმეტე ნომერში შვიდი თაბახია, არაფრით ჩამორჩება მასალის რაოდენობით სხვა ნომრებს, პირ-იქით, მეშვიდე და მერვე ნომერზედ დიდიც არის. ეგეც არ იყოს, საქმე ისაა, შიგ იყოს რამე, თორემ სითხითა და სისქით ჟურნალის ღირსება აიწონ-გაიზომება?!. მტკნარი სიცრუე მოუჭორებია მაგ მტკნარს მეცნიერს... ქაღალდის სითხელე მასალის ნაკლებულობისაგან ვეღარ გაურჩევია!..

— რა ვიცი, ღირსებისა არა უთქვამს-რა!.. მერე სთქვა, რომ ჩემს საქონელს „დროის შესაფერი მიმართულება" მიეცემაო...

— ეგ არ მესმის...

— არც მე მესმის, მაგრამ ასე-კი სთქვა-და!..

— დაიცა, მაშ აქამდე დროის შეუფერებელი მიმართულება ჰქონდაო?.. ან იქნება ეგ „დროის შესაფერი" ის არის, რომ ზაფხულში ერთი მიმართულება ექნება, ზამთარში — მეორე, გაზაფხულზედ — მესამე?.. ერიგიდიჰაა, ეგ ხომ ფლიუგერი ყოფილა.

— „ფლიუგერი" რაღა არის?

— ფლიუგერს გერმანელები გრძელს ჯოხზედ ჩამოცმულს პაწია, თუნუქის ფრთებიანს ტიკინს უწოდებენ, რომელიც პირს იქით იბრუნებს ხოლმე, საითაც ქარი დაუბერავს.

— ჰო, მერე, ჩემის დუქნის მოწესედ, გამგედ და ხელმძღვანელად სხვა, ახალი კაცი მოვიწვიეო.

---

ნას, თუ რა იქნებოდა მაშინ, რომ ის არ ყოფილიყო, რაც იყო.

— მარა, რა იქნება ახლა თამარას დედამ დედა ჩვენს რომ სამ მანათზედ მეტი მისცეს? აბა სამი მანათით რა უნდა გავაკეთოთ? ჩუსტები ვიყიდოთ, ხორცი, ღვინო, ჩაი, შაქარი, თუ ეს ოხერი შეშა. აი ერთი მუჭა ნაფოტი-ღა გვიყრია ი ყუთის ძირში!

— რა უნდა იყოს, ძალიან კარგი იქნება! მაგრამ რად მისცემს. რასაც გარიგებულია, მარტო იმას მისცემს, ამოოხვრით მიუგო ნიცამ და მერე დაუმატა: რო იცოდე, სანდრო, რა ნაირად ცხელა იმათ ოთახებში, რამდენი რამეები აქვთ იმათ; რო შეგახედა იმათ სახლში, სწორედ დიდი მაღაზია გეგონება, რა გინდა, რომ იქ არ აწყვია: დიდ-დიდი მწვანე ხეები კუთხეებში, შუა ოთახში ხავერდის სუფრით გადაფარებული სტოლი, იმის გარშემო ხავერდის სკამები, კედლებზედ ვარაყიანი რკლიანი უშველებელი ხატები, ლამპრები, ხალიჩები, კუნჭულში ფორტუპიანო, შუა ჭერში დიდი ხომლი, ათასის სანთლებით ანთებული! ერთხელ დედას გავყე და კარებიდგან დავინახე. იატაკი, იატაკი ხომ ისეა აჭრელებული და ისე ჰბზინავს, რომ სარკესავით, პირისახე შიგ გამოჩნდება. ერთი ოთახი მეორედგანა სჩანს, მეორედგან მესამე, მესამედგან მეოთხე და ვინ იცის კიდევ რამდენი...

— მერე მაგდენს ოთახებში მარტო თამარი დარბის? თამაშობს?

— დარბის-კი არა! ის სულ თურმე დაღონებული, გაყვითლებული თავის ოსტატ ქალთანა ჰზის და ისიც რაღაც ენაზედ რაღაცებს ელაპარაკება; იმათმა გოგომ მითხრა: ერთხელ არ იცინებს, არ გაიცინებსო, მე მგონია, იმისი ბრალია, რომ ბავშვებში არა თამაშობს, ერთი ამხანაგი არა ჰყავსო.

— უი, უხეირო, რამ დაალონა? გაიქცეს და გამოიქცეს, თუ მარტოა, ამხანაგები შეჰყაროს და სულ თვალხუჭუნა ითამაშოს. მე რო ამის ალაგას ვყოფილიყავ, თავისს დღეში არ მოვიწყენდი. იმდენ წიგნებს ვიყიდდი, სულ სურათებიანს, იმდენ იარაღს, რომ ყოველ დღე სხვა-და-სხვა საქმე მქონოდა! რამდენი ხანია მინდა ერთი ლამაზი ყუთი გამოგიხერხო, ჩუქურთმიანი, იმისთანა, ჩვენებიანთ გოლამ რომ გაუკეთა თავისს ოსტატის ქალსა, მაგრამ არც ფიცარი მაქვს და არც ხერხი...

ყმაწვილების ლაპარაკში სალომე უჩუმრად შემოვიდა სახლში საშინელის მწუხარებით სახეზედ, ტახტზედ ჩამოჯდა და მწარედ თავი ჩაჰკიდა.

— დედა, დედა ჯან! რა დაგმართნია, რა იყო? საჩქაროდ მისცვივდნენ შვილები და შიშით თვალებში დაუწყეს ცქერა. ხომ არ წაიქეცი, ან ხომ არაფერი დაგეჯახა? ჰა, დედი, რას გაჩუმებულხარ?

— ნეტა დამჯახებოდა რამე და ბარემ სული ამომსვლოდა და მოვრჩენილიყავ ამ გაჯახირებულ ცხოვრებას. თქვენ შიმშილს და უბედურობას მაინც ვეღარა ვნახავდი!

— რა იყო, დედა, რა? არ გვეტყვი, ტირილით ამოიკვნესა ნიცამ და გვერდში ამოეკრა დედას.

— რა იყო, შვილო, და ის იყო, რომ ხელ-ცარიელი მოვედი. იმ გულმკვდარმა, კაბა დაიწუნა, რაღაც უბედურს გუნებაზედ იყო და ბრაზი სულ ჩემზედ ამოიყარა: კაბა სულ მიგლიჯ-მოგლიჯა, ეს ისე არ მიგიკერებიაო, ეს ასეო, ეს საყელო მაღალიაო, ეს სახელო ვიწროაო... ასე გამომჭრა ყელი, ულუკმა-პუროდ დაგვყარა... როცა დაარღვევ და ისე გააკეთებ, როგორც მე მინდაო, შენს ხელ-ფასს მაშინ მიიღებო.

— მერე, დედა, არ შეეხვეწე, არ უთხარი, რომ ხვალ შობაა და ჩვენ-კი პურიც არ გვექნება!.. არ უთხარი, რომ სამი დღე თვალები დაითხარე ამ ყაითნის კერვაში, რომ ათი დუჟინი ღილი დააკერე?.. გულ-ამოსკვნილი სლოკინებდა პატარა ნიცა და პატარა გულში უსაზღვრო სიძულილი იხატებოდა უსამართლო გულ-გაქვავებულ ქალბატონის მიმართ.

— ოო, იქა ვყოფილიყავ, მუშტზედ დაიხედა თორმეტის წლის სანდრომ, მე ვუჩვენებდი იმათ სეირს! იმათ ყვიციან თამარს სულ თავს გაუგლიდი იმ თავიანთ ხავერდის სკამებზედ, სულ მივლეწ-მოვლეწდი იქაურობას...

— რადა, შვილო, რადა? თამარი რა შუაშია, ის, პირიქით, ჩემ ტირილსა და ვაი-ვაგლახზედ ასე სწუხდა, ისეთის მუდარით შესცქეროდა დედას, ის იყო ტირილი უნდა დაეწყო, მაგრამ დედას შეეშინდა და საჩქაროდ გამამისტუმრა: „წადი, წადი! თუ ღმერთი გწამს, ბავშვს გული ნუ გაუხეთქეო". აი, შვილო იმათი სამართალი! გული ნუ გაუხეთქეო, მე გავუხეთქე, თუ იმან, იმ უსამართლომ, იმ არა-დედაკაცმა!

— ეხლა რა ვქნათ, დედა, რა ვქნათ? უარესის მწუხარებით წამოიკვნესა უდროოდ გულგატეხილმა ნიცამ და ხმა-მაღლა მოჰყვა ღრიალს. სანდრომაც დას ბანი მისცა და დედას ქვითინით კალთაში ჩაუვარდა.

— რა ვქნათ... რავქნათ! მწუხარებით ამოიკვნესა სალომემ და ბავშვების მწუხარებით დამწვარმა დედამ ქოჩორში ხელი წაივლო... რა ვქნა, ვის მივმართო, ვინ შეგვიწყალებს, ვინ შეინდობს ჩემ ობლებს!...

— სალომე! სალომე! ოდნავ კარის კაკუნთან მოისმა ვიღაცის ნაზი და სუსტი ძახილი.

— სუ, დედა! გააჩუმა მოტირალი ნიცამ. სუ, ვიღაცა აკაკუნებს გარეთა კარებს.

სალომემ ცრემლები მოიწმინდა, თავიდამ გადავარდნილი მოსახვევი გაისწორა და კარები გააღო; აქ დარცხვენილი, თავ ჩაღუნული, გაფითრებული თამარი იდგა და ორივ ხელებით გულზედ მიკრული დიდი კალათი ეჭირა, იმის უკან ფრანგი აღმზდელი ქალი მოსჩანდა, იმასაც ცალს ხელში რაღაც გამოკრული ეჭირა და ცალით თვალთაგან ცრემლებს იწმენდდა.

პირ-დაღებული სალომე თავისის შვილებით ოდნავ განათებულ, ჰუჰყიან, ცარიელ ოთახში და კარებში მშვენიერი, მხრებამდინ გრძელ თმებ-გაშლილი, თეთრ ტანისამოსში გახვეული, ფერმკრთალი, ფერიას მგზავსი, მშვენიერი ცხრა წლის ქალი მოწყალებით ხელში და მას უკან გულ-ღმობიერი აღმზდელი ქალი, დიდხანს იდგნენ ერთმანეთის პირდაპირ და ვერც ერთი მხარე ვერ ჰბედავდა ამ მწარის, მაგრამ კაცთ-მოყვარეობით სავსე სურათის დარღვევას.

ეკ. გაბაშვილი

## ნადირთა სასამართლო

ე. კონისა.

(დასასრული *)

— რას იტყვით უკანასკნელად და რითი იმართლებ თავს, მიუბრუნდა დათვი გლეხს, რომელმაც მელიის მშვენიერის სიტყვის მოსმენით ჩასთვლიმა...

— აჰ, ე!...

— უკანასკნელის სიტყვით გსურთ ისარგებლოთ?

— რა უკანასკნელი? დღესასწაულების წინა დღეს უკანასკნელი და სალანძღავი სიტყვა არ ითქმის...

*) იხ. „ივერია" № 270.

— თითონ? თავს აწებებს?

— არ ვიცი, ეგ არ უთქვამს, ის უფრო მოიზიდავს მუშტარსაო.

— ეგ ხომ იმასა ჰნიშნავს, რომ მე ესტიპარი გამიტყდა, აღარ ვარგივარ და ჩემს უვარგისობას მევე ვაცხადებო. ეგ ხომ იმას ემგზავსება, —კაცი მოუბრუნდეს თავისს თავს და თავისისავე ფეხით თითონ ამოიკრას პანღური.

— ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქებში ისეთი აგენტები მყავს, რომ ბუზის ბზუილიც-კი არსად გამომეპარებაო.

— ქალაქები, ან აგენტების ვინაობა არ დაუსახელებია, ორიოდ-სამიოდესი მაინც?

— არა.

— მაშ არ დაუჯერო, ეგეც ჩარჩული ტყუილი იქმნება.

— ეს კიდევ არაფერი. ახალი დასი შევადგინეო. არ ვიცი, მეოთხე თუ მეხუთეო, კარგად ვერ გავიგონე.

— ძველი რომელიღააო? ან ახალს დროშაზედ რა უწერიაო?

— ბევრს მელაპარაკა, მაგრამ არ ვიცი, მე ვერ გავიგე იმისი მეცნიერული ლაპარაკი, თუ იმან ვერ გამაგებინა, ეხლაც არ მესმის, —ძველს რა აქვს ძველი და ახალს რა მოუტანია ახალი. მაინც-კი ძალიან საინტერესო კაცია, თავისი კუდიც მაჩვენა.

— განა კუდიცა აქვს, კაცო, მაგას რას ამბობ?..

— ღმერთს გეფიცები, შენ ალბად სურათებში ვერ შეგინიშნავს. კუდზედ რაღაც უცნაური სიტყვა უწერია: „პროგრესიულიო“. მაჩვენა და თავმომწონედ მითხრა: აი, სადაც მივდივარ, ეს კუდიც იქ მიმაქვსო!...

ლაპარაკში კუდიანს კაცს მოვკარი თვალი და დავინახე, რომ თავზედ ფერადის ქაღალდის წოწოლა, მერცხლის ბოლოსავით გაყოფილი, ჟღარუნებიანი ქუდი ეხურა და ზედ ეწერა: „ამ კვირია შექმნილ-დაბადებული ძველი გმირები“...

კუდი გამახსენდა, ეს ქუდი რქებად მეჩვენა, ვიფიქრე, ბრუტ-საბძელზედ ამომიყვია თავი-მეთქი, დავავლე ხელი ჩემს მეგობარს და ძალათი წამოვიყვანე. ორი ნაბიჯი არ გადმოგვედგა, რომ წინ შეგვეფეთა ისევ ცხრა-თითა კაცი, რომელსაც ახლა კილო გამოეცვალა და სულ სხვა ხმით ამბობდა:

— ახალი შეშუდი მოგვივიდა, ახალი?... ახალი თხზულება დევ-გმირისა: „რა განსხვავებაა ღორსა და ადამიანს შორის“. შეუდარებელი ნაწარმოები, შეუდარებელიიი!...

ზურგს უკანიდგან-კი ისევ მოგვესმოდა: „ნობათები“, „ბლარტები“, „კულტურა“ აქ არის, აქ, სამთა ძმათა გვაქვს“, „ახალი დააააასიიი!“

გამახსენდა მაცხოვრის სიტყვები, რომელიც, დაამხო რა ტაბლები მეკერმეთა, უთხრა მსყიდველთა მათ: „სახლი ჩემი სახლ სალოცველ არს, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი...“ და უფრო გავუჩქარე ფეხს.

ჩითრა

## მთის რაჭა.

მთის რაჭელებს წელს ჩვეულებრივ უფრო ადრე გვეწვია ზამთარი. წრევანდელს ზამთარს თან მოჰყვა საქონლის თურქული, სახადიანობა და სხვა-და-სხვა სენი. რადგან ჩვენში უთოვლოდ შეშა-თივის მოზიდვა ყოვლად შეუძლებელია და მუშა საქონელი კი ამ ჟამად თითქმის ყველგან თურქულით მოხლემილია, ამისათვის მცხოვრებლები დიდად არიან შეწუხებულნი. სახადმა-ყვავილმაც ლამის გაგვანადგუროს! აგერ სამს თვეზე მეტია, რაც ამ სენმა თავი იჩინა სოფ. ჭიორაში. მხიარულმა „ბატონებმა“ არ შეიწყნარეს ამ სოფლის მკვიდრთა ბაზმა კაკლით კმევა-ბოდიში და მრავლის დედა აატირეს. მრავალი ოდეჰზის თვალ-ცრემლიანი და გულსაკლავად მოსთქვამს სახადისაგან უდრო-უჟამოდ გამოსალმებულ ძეთა და ასულთა. მკურნალმა ნადირაძემ შეიტყო თუ არა ამბავი ყვავილის გაჩენისა სოფ. ჭიორაში, მყის შეუდგა შველას თავისს ფერშლებით, მაგრამ, რომ იტყვიან ანდაზად: „სანამ პეტრე მოვიდოდა პავლეს ტყავი გააძვრესო“, სწორედ ჭიორლებსაც ისე დაემართათ. სანამ მკურნალი მოვიდოდა, ყვავილმა თავისი აღასრულა, მკურნალმა დიდი შეღავათი და შემწეობა მისცა სოფ. ღებს, სანამ ამ სოფელში ეს სენი თავს იჩენდა. აუცრელი არ დაუტოვებია არცერთი სული. თუმცა სახად-ყვავილი დღეს ამ სოფელშიაც მძვინვარებს, მაგრამ ჯერ ჯერობით ადვილად იხდიან სახადსა.

ღმერთმა ნუ ჰქნას სახადის ცელს აქ ისე ეთიბოს, როგორც ჭიორაში, თორემ ისე თქვენი მტერი, როგორც ღებლები გაუჯახირდებოდნენ უსაფლაობით! აქაურ სასაფლაოზედ ისე მიცვალებული არ დასაფლავდება, რომ სხვა ახალი და გაუხრწნელი გვამი არ ამოიღონ. დიდი ხანია, რაც სასულიერო და სახოსციელო მთავრობა უკიჟინებს აქაურ მამასახლისს ახალის სასაფლაოს მოპოვების შესახებ გულგრილობისათვის, მაგრამ იმას ბუზის ბზუილად ესმის და დღესაც მიჩუმებული აქვს ეს საქმე. იმედია, ახალი მაზრის უფროსი მიაქცევს ყურადღებას ამ საქმეს და, ვისიც ჯერ არს, აიძულებს ამ ფრიად საჭირო საქმის განხორციელებას.

ნოემბრის მიწურულებში აქ საზიზღარი მკვლელობა მოხდა. საბძლის კვაჭახურთან ჩასაფრებულმა გლეხმა მიქელა დათიასძე ლობჟანიძემ გზაზედ ცხენით მიმავალ გლეხს დავითა ივანეს ძე ლობჟანიძეს ესროლა საფანტით გატენილი თოფი და დასჭრა. დაჭრილმა დღე ნახევარი კიდევ იცოცხლა და განუტევა სული. მკვლელი შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

აქაურ მემადნეთაც აღუსრულდათ ნატვრა-წადილი. ამ ორი კვირის წინად მოუვიდათ ამბავი მათის აგენტისაგან, რომ მათ მიერ სოფ. ღებში აღმოჩენილი სპილენძის მადანი შეუძენია ამხანაგობას 40,000 მანეთად. მემადნეთა სიხარულს აღარა აქვს საზღვარი. ჯერ კიდევ ოცნებით უჩინარ სიმდიდრისაგან აღფრთოვანებული გუნდრუკ საკმევლით ქება დიდებას უძღვნიან შემოქმედსა, რამეთუ მოხედა დღეთა ჭირსა მათისათა და ღირს ჰყო იგინი სიმდიდრესა აღურაცხელსა.

მიხაკო მღებელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ნიჟარაული**, (შორაპნის მაზრა). ჩვენი სოფელი არ არის ღარიბი, როგორც მცხოვრებლებით, ისე მოსავლით. ხალხიც შეგნებულია, გესმის, რა არის კარგი და რა ავი. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ამ ხუთის თუ ექვსის წლის წინად, როდესაც აქ სამრევლო სასწავლებელი დაარსდა, ხალხი აღტაცებით მიეგება ამ ყველასთვის სასიამოვნო და კეთილს საქმეს. სასწავლებელს მაშინვე სასლი აუშენეს, მასწავლებელიც მოიწვიეს და შვილებიც მიაბარეს სასწავლებელში. ერთის სიტყვით, ყველას ეგონა, რომ ეგ არის აშველა ჩვენ შვილებს და წერა-კითხვას მაინც არის შეისწავლიანო. მაგრამ ამ იმედებმა ტყუილად ჩაუარა ხალხს. ეგ არის სახელია, რომ ს. ნიჟარეულში სასწავლებელი არსებობსო, თორემ ასწავლის ვინმე და ბავშვები სწავლობენ რასმეს თუ არა, ეს მარტო ალლაჰმა უწყის. ამდენი ხანია სასწავლებელი არსებობს და ერთხელ არ გამოუცდიათ ბავშვები, იციან რამე თუ არა. ან-კი რა ეცოდინებათ, როდესაც არავინა ზრუნავს სწავლის ხეირიან ნიადაგზედ დაყენებისათვის. მასწავლებლები მუდამ წელიწადს იცვლებიან და არც გასამტყუნარნი არიან, რადგან ისე მცირე ჯამაგირს აძლევენ, რომ შეუძლებელია მასწავლებელმა ამ ჯამაგირით იცხოვროს. მასწავლებელს რო მოიწვევენ, დაჰპირდებიან ხოლმე, რომ სწავლის ფულიდგან შენც მოგცემთ რაც გერგებაო, მაგრამ მცირე ჯამაგირს გარდა კაპიკსაც არ დაანახვებენ ხოლმე. კარგი და პატიოსანი, მასწავლებელს არ აძლევენ, მაშ სად მიდის სწავლის ფული, ვის და რის სასარგებლოდ იხარჯება? საჭიროა აგრეთვე ვიცოდეთ, ნეტა სად წავიდა და რომლის ჯიბის კუნჭულში მიიმალა ის ფული, რომელიც სოფლის დაუკითხავად გაუყიდულს სასწავლებლის შენობაში აიღეს? აი, რა საჭირო-ბოროტო საქმის გამორკვევაა საჭირო და სოფ. ნიჟარეულის მცხოვრებლებსკი უურზედა სძინავთ.

თავისუფალი

## ნახშირა და აბდულლა

(წერილი დაღესტნიდგან)

**ნახშირა** ლეკია. ზამთარში ლეკთაგან მრავალნი ზაქათალის ოლქში სცხოვრობენ. ნახშირა და მისი ძმა მახმადიც თავის ცოლით აქ მოსულიყვნენ შარშან. სცხოვრობდნენ სოფ. ალიბეგლოში. რადგან ნახშირას ცოლი აქ არა ჰყავდა, თავისის ძმის ცოლს ეკურკურებოდა. ხალხი იცინოდა და ეუბნებოდა: „კაცო, ნახშირავ! სირცხვილია, ძმის ცოლს როგორა ჰყვარობ, რომ შეგიტყოს, ხომ მოგკლავსო“. — „რათაო, რად მომკლავს? განა იმან-კი არ იცის,

---

— უკანასკნელი სიტყვა... გესმით? გინდათ თუ არა სთქვათ უკანასკნელი სიტყვა, რომლის შემდეგაც განაჩენი იქნება დადგენილი.

— რატომ...

— სთქვით, მხოლოდ არ გაიმეოროთ ის, რაც უკვე სთქვა თქვენმა ვექილმა.

გლეხმა თავი ჩაჰკიდა და ჩაფიქრდა.

— აბა?..

— ამინ! სთქვა გლეხმა და ფრინველსავით ცხვირი მხარზედ გაიწმინდა.

დათვის დასასკვნელი სიტყვები მეტად მოკლე და თავ-დაჭერილი იყო. მოაგონა რა ჯღარბს, ციყვებს, თხუნელას და მამალს იმათი ღირსეული თანამდებობა, მადლობა გადაუხადა საქმის თავ-დაჭერით და მოთმინებით ყურის გდებისათვის და მაშინვე აუხსნა იმათის მოვალეობის დედა აზრი:

— ეს მოვალეობა ადვილი არ არის, ბ-ნნო ნაფიცნო მსაჯულნო, იგი მეტად რთულია, მაგრამ მრწამს, რომ თქვენს მოვალეობას კეთილ სვინიდისიერად მოეკიდებით, თქვენი ბრწყინვალე აზრი და ჭკუა დაგეხმარებათ და პირ-ნათლად შეასრულებთ. თქვენ მოისმინეთ მოწმების ჩვენება, მოისმინეთ სიტყვა ბრალდებულისა და ვექილისა! გაიხსენეთ ყველა ეს, შეაერთეთ, ასწონ-დასწონეთ და თუ ადამიანს დამნაშავეთა სთვლით — სთქვით: „დამნაშავეა“-თქო, და თუ არა სცნობთ დამნაშავეთ, ნუ იტყვით: „დამნაშავე არის“-თქო.

ამის შემდეგ ნაფიც-მსაჯულთ გარდასცეს საკითხავთა ფურცლები. ჯღარბმა თავი დაუკრა თავმჯდომარეს და მოახსენა.

— თქვენო კეთილ-შობილებავ, მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დიახ, დამნაშავეა...

— ასე არ შეიძლება, უთხრა დათვმა: ხეებს იქით მოსალაპარაკებლად უნდა წახვიდეთ.

— ჩვენ მოულაპარაკებლადაც მოგახსენებთ, დიახ, დამნაშავეა, როგორც ბრძანა ბ-ნმა ბრალმდებელმა.

— წადით, წადით, მოილაპარაკეთ. აქ არავის არაფერი უბრძანებია... თქვენი ბრძანება შეუძლიან მხოლოდ თქვენს სინიდისს, თუ იგი მოგეპოვებათ.

ნაფიცნი მსაჯულნი ერთ მხარეს ბუჩქნარისაკენ წავიდნენ და დათვი, დედოფალა და მგელი მეორე მხარეს გავიდნენ. დედოფალა ჯერ ისევ ბურანში იყო და რაღაცას ბუტბუტებდა; მგელმა-კი თან წაიღო რამდენიმე ფურცელი, რომლებზედაც მოხერხებულად იყო დახატული მგლისა, ძაღლისა და ცხვრის თავები. გლეხმა მცველებს სთხოვა ბუჩქნარებშივე მიეყვანათ და დარაჯთა მეთვალყურეობით კარგა მოშორებით გაიყვანეს.

ათის წამის შემდეგ ერთმა კურდღელმა დაიყვირა:

— სასამართლო მოდის!

მინდორზედ თითქმის ერთს დროს ყველა ბუჩქნარებში მიმალულნი გამოჩნდნენ. ჯღარბმა დათვს საკითხავთა ფურცლები ჩააბარა. ფურცლები დათვმა ჯერ თითონ ჩათვლით წაიკითხა და შემდეგ ხმა მაღლა დაიწყო.

„პირველი საკითხი: დამნაშავეა თუ არა კაცი, რომ უზრდელად ექცეოდა ცხოველებს, აწვალებდა, უსპობდა თავისუფლებას და დაუნდობლად სცემდა“? „პასუხი: არა, დამნაშავე არ არის, რადგან ცხოველებთა ალერსით ვერას გააწყობდა“.

საზოგადოებაში უკმაყოფილების ნიშნად ღმუილი გაისმა.

„მეორე საკითხი: დამნაშავეა თუ არა კაცი, რომ მისდა რწმუნებულს ცხოველებს ჰქურდავდა, არა, ჰქურდავდა-კი არა, სძარცვავდა კიდეც რძის წველით, მატყლის პარსვით და სხვანი?..

„პასუხი: ჰქურდობდა, საძაგელი დამნაშავეა“.

„მესამე საკითხი: მეორე მუხლში აღნიშნული ბრალი თუ არ დაედება და დამნაშავე არ არის, დამნაშავეა თუ არა, რომ მის მიერ შეურაცხყოფილის ცხოველების სარჩოს ითვისებდა“?

„პასუხი: არა, მაგრამ სასჯელის ღირსი კია“.

„და მეოთხე საკითხი: დამნაშავეა თუ არა კაცი, რომ ადრევე მოფიქრებულის განზრახვით ცხოველებსა ჰხოცავდა, თუმცა ისინი თანახმანი არ იყვნენ“.

„დიახ, დამნაშავეა“.

სიჩუმე ჩამოვარდა. ნადირნი და გარს მყოფი ხეები, არ იძვროდა, არ ირყეოდა, ყველას სუთქვა შეეკრა, მხოლოდ მოწმე ცხენს მუცელში რაღაცა უყუყუნებდა.

დათვმა ამხანაგებთან რჩევა დაიწყო, დედოფალა კვლავ სთვლემდა და მგელს-კი რაღაც მზრუნველობა ეტყობოდა. დათვი უკანა ფეხზებზედ წამოდგა.

— ბ-ნ ნაფიც მსაჯულთა დადგენილების თანახმად, გარდაწყვეტილ იქმნა; წამოიღრიალა დათვმა... აქ დამსწრე კაცი, როგორც ადამიანთა წარმომადგენელი, იმ დანაშაულთათვის, რომელიც დაწვრილებით იქმნება აღნიშნული მდივნის მიერ განაჩენში, მის მიერ მითვისებულ ფულებათა აუხდელად და იმაზედ დარჩენილი გარდასახადის უპატიებლად, დაიგლიჯოს და უნაშთოდ იქმნას შეჭმული. ამ განაჩენზე შეიძლება საჩივარი ორის კვირის განმავლობაში გადატანილ იქმნას ლომთან, მაგრამ განაჩენი ეხლა-კი, რათა დაცულ იქმნას სისწრაფე სამართლისა, დაუყოვნებლივ აღსრულებაში უნდა იყოს მიყვანილი. ნადირნო! მიჰმართა დათვა საზოგადოებას, აღასრულეთ მართლ-მსაჯულების განაჩენი...

ღმუილით, ყვირილითა და ბღავილით მისცვივდნენ მხეცნი კაცს, გარს შემოეხვივნენ და გლეჯა დაუწყეს...

უცებ—სადღაც შორს გაისმა გალობა მამლისა. გაყინულს ჰაერში ნათლად, მხიარულად და ხმა მაღლა მოისმა სოფლის ეკკლესიის ზარის ხმა; ზარის ხმა თანდათან ძლიერდებოდა და ღამის სიჩუმეში იფანტებოდა. ამავე დროს ცაზედ ამოცურდა ნათელი, ბრწყინვალე ვარსკვლავი და კრძალვით მისცურავდა ვარსკვლავებით გაჭედილს ლურჯად მობიბინე ცაზედ. ქვეყნიერება მხსნელი დაიბადა.

შეშინებული და კუდ-ამოძუებული მხეცები აქეთ-იქით გაიქცნენ. ზარდაცემულნი მხეცნი მირბოდნენ თავის სოროებისაკენ და შიშისაგან ვეღარა ჰბედავდნენ ბრწყინვალე ვარსკვლავისათვის შეეხედნათ; ჰგრძნობდნენ, რომ მისი მოკრძალებული სინათლე, მათ შეგუბებულს გაბოროტებას აქარწყლებდა და უბძანებდა ეპატიებინათ, დაევიწყათ ყოველივე სიბოროტე, შეურაცხება ადამიანისა, არ განესაჯათ იგი და მოთმინებით აეტანათ მისი უსამართლობა. ვარსკვლავი-კი იზრდებოდა და სასიამოვნოდ ჰბრწყინავდა.

დაგლეჯილ-ქალმებიანი გლეხი თოვლზედ იჯდა და სტიროდა. რასა სტიროდა იგი, მხოლოდ ღმერთმა უწყის, იმის მწარე ჩურჩულში-კი ხშირად გაისმოდა მწუხარე ქვითინი:

მხეცნო, ჩემო მხეცნო! აი, თქვე უტვინო, კეთილნო მხეცნოო, ჰბუტბუტებდა გლეხი და თან თავისს გარშემო ეძებდა ქვას, ჯოხს, კეტს, რომ იქვე მის ფერხთით სასამართლოს კამათის დროს ჩაძინებულ კურდღლისათვის სიცოცხლე მოესპო...

ი. კახელი

რა. დაღესტანში რომ წავა, ის კიდე ჩემს ცოლს გაუარშიყდესო, ამბობდა ის. ამას ისე დამშვიდებით ამბობდა ნახშირა, რომ გეგონებოდათ, ზნეობითი კანონი აღუსრულებია და ამისათვის სინიდისი არ აწუხებს და არც არავისი სცხვენიანო. მაგრამ მე არ მიკვირს მისის სინიდისის დაჩლუნგება და დაყრუვება. ისინი სარწმუნოებას ასე აღუზრდია და ჩვენი ქრისტიანებიც ამისათვის ეძახიან „ნახშირა“-ს, რომ იმას გული, სული და სინიდისი გაშავებია.

ასეთი საქმე მაჰმადიანთა შორის საზოგადო მოვლენაა. ესენი ძმის ცოლებს არ ინდობენ. საზიზღარი ზნე-გარყვნილება ამ დღეებში გამოიჩინა ერთმა ბაბალოელმა თათარმაც აბდულლამ. ამას ძმა ციმბირში ჰყავს; მისი ცოლი-კი მასთან სცხოვრობს. თურმე ნუ იტყვით, აბდულლას შეუჩვევია ძმის ცოლი და იგი დაორსულებულა. 13 დეკემბერს ფატმას ვაჟიშვილი ჰყოლია. აბდულლა შემოსულა მშობიარესთან, ყმაწვილი დაურჩვია, გაუხვევია ძონძებში და ჩაუდვია მშობიარის ყუთში. დღესაც იქვე ასვენია. უკვე გამოიძია პოლიციამ საქმის გარემოება. ახლა ელიან ექიმს. მაგრამ განა ექიმი-კი ზნეობის გამასწორებელია.

ასეთივე საქმე ჩაუდენია ახალგაზდა თათრის ქალს, რომელიც ქმარს გაჰყრია, სხვა თათარი შეუყვარებია, შვილი ჰყოლია, მაგრამ მეორე დღეს დაურჩვია. ეს ქალბატონიც სამართალშია მიცემული. მაგრამ რა გამოვა, აქ ყველას უშიშრობა ეტყობა. „გამგზავნონ ციმბირში რა, იქაც ხომ პურს მაჭმევენო“, ამბობენ დანაშაულის ჩამდენნი.

ინგილო ჯანაშვილი

## რუსეთი

—

მიწათ მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ბრძანება დაუგზავნა ტყეების დამცველ კომიტეტებს, რომ ნებას ნურავის მისცემთ არჩევით სჩეხონ ხოლმე ტყე, იმ ნაწილს გარდა, რომელიც გადადებულია გასაჩეხადაო.

— პეტერბურგში მიელიან ცნობილს იტალიელს მარკონის, რომელმაც უმავთულო ტელეგრაფი მოიგონა.

— ფინანსთა სამინისტროსთან ამ დღეებში დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც სახელმწიფო % ქაღალდების კუპონების შენახვისა, გაგზავნ-გამოგზავნისა და გაუქმების საქმეში წეს-რიგი უნდა შემოიღოს.

— უკვე გამოქვეყნებულ იქმნა ნორმალური წესდება შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოებათათვის.

## უცხოეთი

—

